



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის  
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000084516339618

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 56

04 / ივლისი / 2018 წ.

დადგენილება

„ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №11 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 22/05/2017, 010250050.35.162.016397) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საბჭოს მდივნის, მუნიციპალიტეტის მერის მიერ შერჩეული ერთი წარმომადგენლისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირებისაგან.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

თ

თამარ ყვინიშვილი

**ახმეტის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს**

**დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

**მუხლი 1. ზოგადი დებულება**

1. გენდერული თანასწორობის საბჭო (შემდგომში – საბჭო) იქმნება „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
2. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, ამ დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.
3. საბჭოს ფუნქციები, უფლებამოსილებები, შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.
4. საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საზოგადოებრივ საწყისებზე.

**მუხლი 2. საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებები**

1. საბჭოს ძირითადი ამოცანებია:
  - ა) შეიმუშაოს და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგინოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;
  - ბ) შეიმუშაოს და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის;
  - გ) გამოითხოვოს და მიიღოს გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
  - დ) განიხილოს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარმოდგენილი განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;
  - ე) გენდერულ თანასწორობის საკითხების შესწავლისა და განხილვის დროს მოიწვიოს შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან/და ექსპერტები;
  - ვ) განახორციელოს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

2. საბჭო წელიწადში ერთხელ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ.

3. საბჭო უფლებამოსილია, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო სხვადასხვა სახის ურთიერთობებში.

### **მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა**

1. საბჭოს თავმჯდომარეობს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე. ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ან თავმჯდომარის დავალებით საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

2. საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საბჭოს მდივნის, მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ შერჩეული ერთი წარმომადგენლისა და საკრებულოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული სხვა პირებისაგან.

3. საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

4. საბჭოს წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს რვაზე ნაკლები.

5. საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით, საბჭოს მუშაობაში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა, სხვადასხვა უწყებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

6. საბჭოს წევრთა საქმიანობა არ ანაზღაურდება.

### **მუხლი 4. საბჭოს მუშაობის წესი**

1. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ან/და საბჭოს შემადგენლობის 1/3-ის ინიციატივით.

2. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. საბჭოს სხდომის დღის წესრიგს ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე.

4. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა;

5. საბჭოს სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვს საბჭოს თავმჯდომარეს და საბჭოს წევრებს.

## მუხლი 5. საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.